

# 04 | გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები

უფლების დაცვის  
არასასამართლო  
მექანიზმები



რიგ შემთხვევებში, შესაძლოა, რომ გარემოსდაცვითი დავის განხილვა გაჭიანურდეს, რის გამოც უფლებების დაცვა დროულად და ეფექტიანად ვერ მოხდეს. ამგვარი დავებისა თუ გარემოსდაცვით გამოწვევებთან გასამკლავებლად შესაძლოა, გამოიყენებოდეს სხვადასხვა არასასამართლო მექანიზმი. ეს მექანიზმები ასევე შესაძლოა, ეფექტიანად იქნეს გამოყენებული სტრატეგიული გარემოსდაცვითი სამართალწარმოების მიზნების მისაღწევად. წინამდებარე ცხრილი შეიცავს ინფორმაციას ამგვარი მექანიზმების შესახებ.

მექანიზმი	მიმართვის უფლება	საკითხი	რეაგირება
საქართველოს სახალხო დამცველი	საქართველოს მოქალაქეები, საქართველოში მყოფი უცხოელები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომელთა უფლებებიც შესაძლოა ირღვეოდეს	საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებათა და თავისუფლებათა დარღვევები	ადამიანის დარღვეულ უფლებათა და თავისუფლებათა აღსადგენად სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, საჯარო დაწესებულებებსა და თანამდებობის პირებს, მიმართავს წინადადებებითა და რეკომენდაციებით  შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს მიმართავს წინადადებით გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მოთხოვნით  ასრულებს სასამართლოს მეგობრის (Amicus Curiae) ფუნქციას საერთო სასამართლოებსა და საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში  კონსტიტუციური სარჩელით მიმართავს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს  შემოწმების შედეგები შეაქვს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში  საქართველოს კანონმდებლობასთან და კანონპროექტებთან დაკავშირებით, საქართველოს პარლამენტს ან სხვა შესაბამის ორგანოს წარუდგენს წინადადებებს, შენიშვნებსა და რეკომენდაციებს
ორჰუსის კონვენციის შესაბამისობის კომიტეტი (ACCC - Aarhus Convention Compliance Committee)	ნებისმიერი პირი	გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებების დარღვევის საკითხი ორჰუსის კონვენციის წევრ სახელმწიფოებში	რეკომენდაციები სახელმწიფოს მიმართ

მექანიზმი	მიმართვის უფლება	საკითხი	რეაგირება
გაეროს სპეციალური მომსახურებელი ადამიანის უფლებებსა და გარემოზე	ნებისმიერი პირი	ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება, გარემოს დაცვასთან დაკავშირებული უფლებები	რეკომენდაციები სახელმწიფოს მიმართ, ვიზიტები ქვეყნებში, ინფორმაციის ასახვა შესაბამის თემატურ ანგარიშებში
მსოფლიო ბანკის ინსპექციის საბჭო (World Bank Inspection Panel)	ორი ან მეტი პირისგან შემდგარი ჯგუფი, მათ შორის, ორგანიზაციები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მსოფლიო ბანკის მიერ დაფინანსებული პროექტი უარყოფითად მოქმედებს მათ ინტერესებსა და უფლებებზე	მსოფლიო ბანკის პროექტებით მიყენებული ზიანი	შესაბამისობის შეფასება, რეკომენდაციის გაცემა, თანამშრომლობითი მიდგომები ხარვეზების გამოსწორებასთან/საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით  დაფინანსების შეჩერება, პროექტის შეჩერება ან შეწყვეტა, თუ დირექტორთა საბჭო მიიღებს ამგვარ გადაწყვეტილებას
აზიის განვითარების ბანკის (ADB) ანგარიშვალდებულების მექანიზმი (CRP - Compliance Review Panel)	ორი ან მეტი პირისგან შემდგარი ჯგუფი, მათ შორის, ორგანიზაციები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ADB-ის მიერ დაფინანსებული პროექტი უარყოფითად მოქმედებს მათ ინტერესებსა და უფლებებზე	აზიის განვითარების ბანკის პროექტების გარემოსდაცვითი ზემოქმედება	შესაბამისობის შეფასება, ხარვეზების გამოსწორებაზე რეკომენდაციები რეკომენდაციის გაცემა, თანამშრომლობითი მიდგომები ხარვეზების გამოსწორებასთან/საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით თანამშრომლობითი მიდგომები  დაფინანსების შეჩერება, პროექტის შეჩერება ან შეწყვეტა დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით, თუ CRP ანგარიში დაადგენს მნიშვნელოვან დარღვევებს
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ანგარიშვალდებულების მექანიზმი (IPAM -Independent Project Accountability Mechanism)	ფიზიკური პირი და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ EBRD-ის მიერ დაფინანსებული პროექტი უარყოფითად მოქმედებს მათ ინტერესებსა და უფლებებზე	EBRD-ის პროექტების გარემოსდაცვითი გავლენა	შესაბამისობის შეფასება, რეკომენდაციის გაცემა, თანამშრომლობითი მიდგომები ხარვეზების გამოსწორებასთან/საქმიანობის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით  დაფინანსების შეჩერება, პროექტის შეჩერება ან შეწყვეტა, თუ მენეჯმენტი მიიღებს გადაწყვეტილებას

მექანიზმი	მიმართვის უფლება	საკითხი	რეაგირება
<p><b>ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ეროვნული საკონტაქტო პირები (LCP - Local Contact Points)</b></p>	<p>ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს ლეგიტიმური ინტერესი</p>	<p>გარემოსდაცვითი ვალდებულებების დარღვევაზე იმ მულტინაციონალური კომპანიების პასუხისმგებლობა, რომლებიც ოპერირებენ ან რომელთა სათაო ოფისიც მდებარეობს იმ სახელმწიფოებში, რომლებიც იცავენ OECD-ის სახელმძღვანელო მითითებებს</p>	<p>მედიაცია მხარეთა შორის, მედიაციის დასრულების შემდგომ განცხადებისა და რეკომენდაციების გამოქვეყნება</p>
<p><b>გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) სოციალური და გარემოსდაცვითი შესაბამისობის ერთეული (SECU - Social and Environmental Compliance Unit)</b></p>	<p>ნებისმიერი პირი, რომელიც მიიჩნევს, რომ UNDP-ის დაფინანსებულ პროექტს უარყოფითი გავლენა აქვს გარემოსა თუ მათზე</p>	<p>UNDP-ის პროექტების გარემოსდაცვითი გავლენა</p>	<p>შეფასება, რეკომენდაციები შესაბამისი ზომების მიღებაზე, შესრულების მონიტორინგი</p>

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

